შ.პ.ს. სკოლა ნერგები

ლიტერატურული კლუბი „ოდისეა“ - წესდება

კლუბის ხელმძღვანელი: თეონა კეკელიძე

2024 - 2025 სასწავლო წელი

1.ზოგადი დებულებები

მუხლი 1. **ლიტერატურული კლუბის სტატუსი**

1. შპს სკოლა ნერგების ლიტერატურული კლუბი „ოდისეა“ არის სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბებული ორგანიზაცია, საერთო ინტერესებისა და მოტივაციების მქონე მოსწავლეთა გაერთიანება. მკითხველთა კლუბის წევრი შეიძლება გახდეს IX-XII კლასის მოსწავლე, ის უნდა გაეცნოს წესდებასა და სამოქმედო გეგმას, მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში.

კლუბი მუშაობას წარმართავს ,,ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით.

2. კლუბი სარგებლობს სკოლის მატერიალური ბაზით და მის კონტროლს ახორციელებს დირექცია განათლების სამინისტროს საქა რთველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. კლუბს აქვს წესდება, სლოგანი, ვებ–გვერდი ან გვერდი სოციალურ ქსელში.

კლუბის წევრთა უფლება–მოვალეობანი

კლუბის წევრ მოსწავლეთა უფლებები განისაზღვრება „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით. მათ თავიანთი უფლებების დასაცავად უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის ან მასწავლებლის არასწორი ქმედებები.

სკოლა ვალდებულია მომჩივანს მისცეს საჩივრის განხილვის საშუალება.

კლუბის წევრს ევალება: იყოს კორექტული, ორგანიზებული, პატივი სცეს სხვის აზრს. შეასრულოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

კლუბის სტრუქტურა

კლუბის სტრუქტურა: ხელმძღვანელი მასწავლებელი, ლიდერი მოსწავლე, კურატორი მასწავლებელი.

ლიდერი მოსწავლე:

1) თაკო მახარაძე, სალომე მიქელაძე (სახელი, გვარი)

არჩეულია მოსწავლეთა უმრავლესობით, ერთი წლის ვადით. ხელმძღვანელობს, ორგანიზებას უწევს კლუბის საქმიანობას, ეხმარება კურატორ მასწავლებელს, ანგარიშვალდებულია კლუბის წევრთა წინაშე.

კლუბის კურატორი მასწავლებლები:

1) ქეთი მახარაძე (სახელი, გვარი)

2) ნათია გიორბელიძე (სახელი, გვარი)

კურატორი მასწავლებელი არის სკოლის პედაგოგი, მისი კურატორობა არჩევითი აქტივობაა, ლიდერ მოსწავლესთან ერთად, ერთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს კლუბს, ერთვება მის საქმიანობაში სხვადასხვა ეტაპზე.

ლიდერი მოსწავლის ფუნქციები:

ა) აკონტროლებს კლუბის საქმიანობას;

ბ) კურატორ მასწავლებელთან ერთად ატარებს სამუშაო შეხვედრებს, კლუბის წევრებთან;

გ) ორგანიზებას უწევს საკლუბო მუშაობის საქმიანობის ამსახველი ფოტო–ვიდეო და ბეჭდური მასალების სოციალურ ქსელში განთავსებას, კურატორ მასწავლებელთან ერთად;

დ) სათანადო ინფორმაციას აწვდის კლუბის წევრებს.

კლუბის ხელმძღვანელის ფუნქციები:

- წლის განმავლობაში წარმართავს საკლუბო მუშაობას;

საკლუბო მუშაობის დაწყებამდე

- სკოლის ვებგვერდზე/სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე/პირად ბლოგზე განათავსებს შემდეგ ინფორმაციას:

    1. კლუბის სახელწოდება და შესაბამისი ატრიბუტიკა;
    2. კლუბის წესდება;
    3. კლუბის სამუშაო გეგმა;

4. განაცხადის ფორმა კლუბში გაწევრიანების მსურველთათვის.

საკლუბო მუშაობის პერიოდში:

სკოლის ვებგვერდზე ან სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე ან პერსონალურ გვერდზე ეტაპობრივად ატვირთავს საკლუბო აქტივობების ამსახველ ფოტო ან ვიდეომასალას.

საკლუბო მუშაობის დასრულებისას:

წარმოადგენს რეფლექსიას საკლუბო მუშაობაზე:

ა) მოხერხდა თუ არა დასახული მიზნების მიღწევა;

ბ) რომელი აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად; რომელი ვერ განხორციელდა და რატომ;

გ) რომელ კომპონენტში იყო საკლუბო მუშაობა ყველაზე წარმატებული და რატომ;

დ) რა სარგებელი მიიღეს კლუბში გაწევრიანებულმა მოსწავლეებმა;

ე) რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ;

ვ) მოხდა თუ არა მუშაობის პროცესში აქტივობების დამატება და ან მოდიფიცირება და რატომ;

ზ) რას გავითვალისწინებ მომავალში მსგავსი საქმიანობის განხორციელებისას.

მუხლი 2. **მიზნები, ფუნქციები, საქმიანობა**

ლიტერატურული კლუბის მიზნები და ამოცანები:

1. ლიტერატურის პოპულარიზაცია;
2. მოსწავლეებში წიგნიერებისადმი ინტერესის გაზრდა და ლიტერატურული გემოვნების დახვეწა;
3. მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარება;
4. აქტიური მოსწავლეების აღმოჩენა და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარება;
5. სალონური ტიპის საღამოების ჩატარება;
6. მწერლებთან შეხვედრა, დისკუსია;
7. კონკურსების ორგანიზება;
8. ინტელექტუალური, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება;

კლუბი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ემსახურება კლუბის მიზნებს, ინტერესებს, ორიენტირებულია შედეგზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი. 3 **კლუბში სასკოლო მონაწილეობა ხელს უწყობს:**

- კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას;
- მოზარდებში სოციალური და ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას;
- გუნდური მუშაობის უნარების ჩამოყალიბებას;
- პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას;
- კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
- თვითშეფასების ამაღლებასა და თავდაჯერებულობას;
- პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვას;
- დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას.

მუხლი 4. **ლიტერატურულ კლუბში განხრციელდება**

1. მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა წერილობითი ტექსტის წაკითხვა , მათში მოცემული ინფორმაციის გაგება - გააზრება;
2. წაკითხული ლიტერატურის განხილვების ორგანიზება;
3. ლიტერატურის სწავლისა და მასთან დაკავშირებულ პროექტებში მონაწილეობის წახალისება;

მუხლი 5. **ლიტერატურული კლუბის წევრობა**

1. ლიტერატურული კლუბის წევრი შეიძლება გახდეს მოსწავლე, რომელიც გამოთქვამს გაწევრიანების სურვილს;
2. წევრობა არის ნებაყობლობითი და კლუბის წევრი შეიძლება იყოს სხვა კლუბის წევრიც.

ლიტერატურული კლუბის წევრს უფლება აქვს:

- მონაწილეობდეს კლუბის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში და ღონისძიებებში;
- ისარგებლოს კლუბის ყველა რესურსით.

კლუბის სამუშაო გრაფიკი

ა) კლუბი იკრიბება ოთხ კვირაში ერთხელ, ასევე საჭიროებისამებრ;

გ) კლუბი მუშაობას იწყებს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ.

კლუბის სამოქმედო გეგმა

(ზოგადი ნაწილი)

1. პროექტები: მხატვრული ნაწარმოებების წაკითხვა, გარჩევა-ანალიზი;
2. შემოქმეებითი საღამო (ესე, ლექსი, ჩანახატი…) კონკურსები; დისკუსია;
3. შეხვედრა მწერლებთან, პოეტებთან, მთარგმნელებთან;

(კერძო ნაწილი)

1. დათო ტურაშვილი - „ჯინსების თაობა“;

2. ნოდარ დუმბაძე - „მე ვხედავ მზეს“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მზიანი ღამე“, „კუკარაჩა“;

3. რევაზ ინანიშვილი - მოთხრობები;

4. მიხეილ ჯავახიშვილი - „თეთრი საყელო“, „ჩანჩურა“;

5. ოთარ ჭილაძე - „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“;

6. გიორგი ლეონიძე - „ნატვრის ხე“, „ფუფალა“, „მარიტა“, „ჩორეხი“;

7. ჯემალ ქარჩხაძე - „ანტონიო და დავითი“, „ზებულონი“, „ქარავანი“, „დრო“.

8. გურამ დოჩანაშვილი - „სამოსელი პირველი“;

9. დავით კლდიაშვილი - „ქამუშაძის გაჭირვება“, „სოლომან მორბელაძე“;

10. ვიქტორ ჰიუგო - „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“;

11. უილიამ შექსპირი - სონეტები, „ჰამლეტი“, „რომეო და ჯულიეტა“, „ოტელო“, „მეფე ლირი“;

12. მიგელ დე სერვანტეს საავედრა - „დონ კიხოტ ლამანჩელი“;

13. ალექსანდრე დიუმა - „სამი მუშკეტერი“;

14. მიხაილ ბულგაკოვი - „ოსტატი და მარგარიტა“;

15. ანა ფრანკი - „ანა ფრანკის დღიურები“;

16. ჯეკ ლონდონი - „მარტინ იდენი“;

17. ჯორჯ ორუელი - „ცხოველების ფერმა“, „1984“;

18. ერნესტ ჰემინგუეი - „მშვიდობით, იარაღო“;

19. ერიხ მარია რემარკი - „სამი მეგობარი“;

20. ონორე დე ბალზაკი - „შაგრენის ტყავი“;

21. ოსკარ უაილდი - „დორიან გრეის პორტრეტი“;

22. ჟიულ ვერნი - „80 000 კილომეტრი წყალქვეშ“;

23. ჯონათან სვიფტი - „გულივერის მოგზაურობა“

24. დანიელ დეფო - „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“;

25. ჰომეროსი - „ოდისეა“;

26. ნუგზარ შატაიძე - „გაღმა ნაპირი“;

27. ჰარპერ ლი - „ნუ მოკლავ ჯაფარას“;

28. ჯერომ სელინჯერი - „კლდის პირზე ჭვავის ყანაში“;

29. ხორხე ლუის ბორხესი - მოთხრობები;

30. ო’ჰენრი - მოთხრობები;

31. დენიელ კიზი - „ყვავილები ელჯერნონისთვის“;

32. კენ კიზი - „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“;

33. გაბრიელ გარსია მარკესი - „მარტოობის ასი წელი“;

34. ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი - „დიდი გეტსბი“;

35. ჰარიეტ ბიჩერ სტოუ - „ბიძია თომას ქოხი“;

36. ალბერ კამიუ - „უცხო“;

37. ენტონი ბერჯესი - „მექანიკური ფორთოხალი“;

38. გი დე მოპასანი - „ლამაზი მეგობარი“;

39. ანტუან ეგზიუპერი - „პატარა უფლისწული“;

40. ერიკ ემანუელ შმიდტი - „ბატონი იბრაჰიმი და ყურანის ყვავილები“;

41. ელიფ შაფაქი - „სიყვარულის ორმოცი წესი“;

42. ნიკო ლორთქიფანიძე - „თავსაფრიანი დედაკაცი“, მინიატურები;

43. ფრიდრიხ ნიცშე - „ასე იტყოდა ზარატუშტრა“;

44. გურამ პეტრიაშვილი - მოთხრობები;

45. მარკ ტვენი - „ტომ სოიერის თავგადასავალი“;

46. ზაირა არსენიშვილი - „ვა, სოფელო“;

განსახილველ ფილმთა სია:

1. პიტერ უირი, 1989 – „მკვდარი პოეტების საზოგადოება“;

2. მილოშ ფორმანი, 1975 – „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“;

3. ელდარ შენგელაია, 1973 - „შერეკილები“;

4. ზაზა ურუშაძე, 2013 – „მანდარინები“;

5. მიკ დეივისი, 2004 – „მოდილიანი“;

6. რობერტო ბენინი, 1998 – „ცხოვრება მშვენიერია“;

7. რიჩარდ ლაგრავენესი, 2007 – „თავისუფლების მწერლები“;

8. სტივენ ჩბოსკი, 2017 - „საოცრება“;

9. „ექვთიმე ღვთისკაცი“

პოეზია:

1. რუსთაველი - ქართული „ლექსის ძირი“

2. ევროპული რომანტიზმი და ნიკოლოზ ბარათაშვილი;

3. XX საუკუნის ქართული ლექსი;

4. გალაკტიონის პოეზია;

5. თანამედროვე ქართული ლექსი.

თარიღი	**განსახილველი თემა**	**შეხვედრის ხანგრძლივობა**	**მოდერატორები**	**შენიშვნა**
სექტემბერი	საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა (ღონისძიებათა დაგეგმვა) კლუბში გაწევრიანების მსურველთა რეგისტრაცია	1 საათი	თეონა კეკელიძე ქეთი მახარაძე ნათია გიორბელიძე	
ოქტომბერი	I სამუშაო შეხვედრა ლიტერატურული კლუბის წევრებთან (წესების გაცნობა; ლიდერი მოსწავლის/მოსწავლეების არჩევა, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება)	1 საათი	თეონა კეკელიძე ქეთი მახარაძე ნათია გიორბელიძე	
ოქტომბერი	ჩვენება და განხილვა ფილმისა „ჭკვიანი უილ ჰანტინგი“	3 სთ	თეონა კეკელიძე	
ნოემბერი	განხილვა წიგნისა „ჰამლეტი“	1 სთ	ფატიმა აბაშიძე	

დეკემბერი	განხილვა წიგნისა „დათა თუთაშხია“	3 სთ	ლიზა მამულაძე, თაკო მახარაძე	
იანვარი	ჩვენება ფილმისა „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“	3 სთ	თეონა კეკელიძე	
თებერვალი	„აწმყო შობილი წარსულისგან არის მშობელი მერმისისა“ - ილიას პუბლიცისტიკა (მოხსენებები, დისკუსია)	2 სთ	თეონა კეკელიძე	
მარტი	ჩვენება და განხილვა ფილმისა „ქალის სურნელი“	3 სთ	თეონა კეკელიძე	
აპრილი	განხილვა წიგნისა „1984“	2 სთ	ბექა აბაშიძე, ლიზა მამულაძე	
მაისი	ჩვენება და განხილვა ფილმისა „თავისუფლების მწერლები“	3 სთ	თეონა კეკელიძე	

დანართი # 1

განცხადების ფორმა კლუბში გაწევრიანების მსურველთათვის

ქალაქ ბათუმის შპს სკოლა
ნერგების ბაზაზე არსებულ
ლიტერატურულ კლუბ „ოდისეას“
ხელმძღვანელს, ამავე სკოლის ----კლასის
მოსწავლის ----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს, ლიტერატურულ კლუბ „ოდისეაში“ გაწევრიანების. გავეცანი კლუბის წესდებას, ვიზიარებ წესდებასა და მიზნებს.

გთხოვთ, დააკმაყოფილოთ ჩემი სურვილი.

განმცხადებელი: ----------

თარიღი: ----------

დანართი # 2

ქართულის კლუბის წევრობის ანკეტა

სახელი, გვარი ----------

დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი) ----------

საცხოვრებელი ადგილი, მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონი ----------

რატომ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი ქართულის კლუბის წევრობა? რას მოველი ამ საქმიანობისგან? ---------- ----------
---